



ვანის მუნიციპალიტეტის
პრიორიტეტების დოკუმენტი

2020-2021 წლები

ზოგადი ცნობები

ვანის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის სამხრეთ-დასავლეთით ნაწილში. ესაზღვრება ბაღდათის, სამტრედიის, წყალტუბოს, ადიგენისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ვანი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 31,0 ათასი კაცია, ხოლო ფართობი 557 კვ. კილომეტრს შეადგენს. საშუალო სიმჭიდროვე 61,9 კაცი/კმ².

მუნიციპალიტეტში 42 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 41 სოფელი. სულ 21 ადმინისტრაციული ერთეულია წარმოდგენილი: ქ. ვანი, ამაღლება, ბზვანი, გადიდი, გორა, დიხაშხო, ზედა ვანი, ზეინდარი, მთისძირი, მუქედი, სალომინაო, სალხინო, საპრასია, ტობანიერი, უხუთი, ფერეთა, ყუმური, შუამთა, ციხესულორი, სულორი, ძულუხი.

განათლება

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 30 საჯარო სკოლა, აქედან 21 საშუალო, ხოლო 9 არასრულია. მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 2410 მოსწავლეს, ხოლო მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის რაოდენობა 752-ია. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ საქართველოს წმიდა მოციქულთასწორის ნინო ქართველგანმანათლებლის სახელობის მართლმადიდებელი გიმნაზია, სადაც განათლებას იღებს 154 მოსწავლე და მათ აღზრდას ემსახურება 30 მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 26 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 700 აღსაზრდელი. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 217-ს შეადგენს.

კულტურა

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი კულტურის ცენტრი, ქალაქ ვანში და შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში. ქალაქ ვანის კულტურის ცენტრთან მოქმედებს კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი, ფოლკლორული ანსამბლები „ვანი“ და „შუამთა“, ასევე ჯგუფი „არგო“.

სპორტი

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საფეხბურთო კლუბი სულორი-ვანი, რომელიც ამჟამად ასპარეზობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ლიგაში. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ასევე სარაგბო კლუბი აიეტი, რომელის რაგბის ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგაში გამოდის. სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს მძლეოსნობის, ჭიდაობის, კალათბურთის, ჭადრაკის სექციები, რომლებშიც ჩართული მომავალი თაობა საკმაოდ წარმატებით გამოდის სხვადასხვა ჩემპიონატებზე. კერძოდ: საქართველოს ჩემპიონები ჭადრაკში, მძლეოსნობასა და სამბოში.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

სტატისტიკური მონაცემებით ვანის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 31,0 ათასი კაცი, აქედან სოციალურად დაუცველ ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საარსებო შემწეობას ღებულობს 1300 ოჯახი, 3200 ბენეფიციარი. პენსიონერთა რაოდენობა 8800-ია.

გარდა სახელმწიფო პროგრამებისა, ვანის მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავებული აქვს სოციალური პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მოქალაქეების დახმარებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია: მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა, სარიტუალო, ახალშობილთა ოჯახების, სტიქიით დაზარალებულთა, სამედიცინო, დიალიზის პროგრამაში ჩართულთა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების, პირველი ჯგუფის ინვალიდთა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა ოჯახების, დღეგრძელთა, მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის აგარიის მონაწილეთა, მრავალშვილიანი ოჯახების, მარჩენალგარდაცვლილ პირთა, სოციალურად დაუცველ ოჯახთა სტუდენტების დახმარებების პროგრამები.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი სამედიცინო და ერთი დიაგნოსტიკური ცენტრი. სამედიცინო ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და გათვლილია 10 საწოლზე. 21-დან 17 ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს ამბულატორია.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით ა(ა)იპ ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლის ღონისძიებებს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და განხორციელებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლას და დადგენას, პრევენციულ და კონტროლის ღონისძიებებს, პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას, დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკურ მკურნალობას, სანიტარულ ღონისძიებებს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას და ხელშეწყობას.

ბუნებრივი რესურსები

ვანის მუნიციპალიტეტში მდიდარია ფლორითა და ფაუნით. დაბლობი ძირითადად გამოყენებულია სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის. ზოგადად მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყეებით, სუბალპური მდელოებით და სუბალპური ბუჩქნარებით. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა სამშენებლო მასალები: ანდეზიტი, ბაზალტი, ალუბასტრი (ინაშაური), კერამიკული თიხა, კირქვა (ისრითი). ასევე მოიპოვება მინერალური (ინაშაური, სულორი, ჭოკიანი) და თერმული წყლები (ამაღლება, სულორი).

ტურიზმი

ვანის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმს. ყველაზე ცნობილი ტურისტული ობიექტია ვანის ანტიკური ნაქალაქარი. სოფლებში ასევე მრავლადაა ისტორიული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ბალნეოლოგიური კურორტია: სულორი და ამაღლება. ქალაქ ვანში, ანტიკური ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის სრული რეაბილიტაციის პროექტი, სადაც რეაბილიტაციის პროცესის დასრულების შემდგომ თავს

მოიყრის აქ აღმოჩენილი ძვ. წელთაღრიცხვით VIII-I საუკუნის ნივთები, შემორჩენილია ნაქალაქარის არქეოლოგიური ნაშთები. სოფელ ჭყვიშში გალაკტიონ ტაბიძისა და ტიცვან ტაბიძის ისტორიული სახლების ახლოს მოქმედებს მათივე სახელობის მუზეუმი. სოფელ ტობანიერში ფუნქციონირებს კორნელი კეკელიძისა და კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმები.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 35 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 20 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

ვანის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (9 სამსახური), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების მეშვეობით (9 აიპი).

მუნიციპალიტეტი მოიცავს 21 ადმინისტრაციულ ერთეულს: ქალაქი ვანი და 20 თემი: შუამთა, მთისძირი, მუქედი, ტობანიერი, ყუმური, ციხესულორი, ზედა ვანი, გადიდი, სალხინო, დიხაშხო, ბზვანი, სულორი, ძულუხი, ამაღლება, ზეინდარი, გორა, უხუთი, საპრასია, ფერეთა და სალომინაო.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2018-2023 წლებში

შემოსულობები

2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2020-2023 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. მაჩვენებლები მოცემულია ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროგნოზის ფარგლებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
შემოსულობები	14,097.3	12,929.5	7,400.0	7,400.0	7,700.0	8,250.0
შემოსავლები	13,990.1	12,829.5	7,300.0	7,300.0	7,600.0	8,150.0
გადასახადები	654.7	6,681.8	6,674.8	6,675.3	7,118.3	7,663.7
საშემოსავლო გადასახადი	341.9					
ქონების გადასახადი	312.8	300.0	300.0	300.0	300.0	300.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	6,381.8	6,374.8	6,375.3	6,818.3	7,363.7
გრანტები	12,821.2	5,674.5	145.0	145.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები	12,821.2	5,674.5	145.0	145.0	0.0	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,929.3	0.0	0.0			
მიზნობრივი ტრანსფერი	145.0	880.4	145.0	145.0	0.0	0.0
კაპიტალური ტრანსფერი	6,746.9	4,224.1				
სპეციალური ტრანსფერი		570.0				
სხვა შემოსავლები	514.2	473.2	480.2	479.7	481.7	486.3
შემოსავლები საკუთრებიდან	341.7	363.2	370.2	369.7	371.7	376.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	49.3	50.0	50.0	50.0	50.0	50.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	44.5	40.0	40.0	40.0	40.0	40.0
ნებეყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0	0.0			
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	78.7	20.0	20.0	20.0	20.0	20.0
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
ფინანსური აქტივების კლება						
ვალდებულებების ზრდა						

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარება. 2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი

უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ვანის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,513.3	2,716.3	2,881.0	2,881.0	3,001.0	3,220.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,883.8	8,087.7	366.0	366.0	381.0	408.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	402.7	455.0	465.0	465.0	484.0	518.0
04 00	განათლება	1,241.8	2,680.4	1,400.0	1,400.0	1,457.0	1,561.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,301.4	1,594.8	1,500.0	1,500.0	1,558.0	1,663.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	995.0	1,136.2	788.0	788.0	819.0	880.0

2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7100,0 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები დაზუსტდა 13999.4 ათასი ლარის, გადასახდელები 16845,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება - 2846,0 ათასი ლარის მოცულობით.

2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 13899.4 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 14001.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100.7%-ს შეადგენს.

გადასახდელების 2018 წლის საპროგნოზო მოცულობა 500.0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 654.7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 130.9%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2018 წლის გეგმა 12868.7 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 12832.5 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 99.7%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 530.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 514.3 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 96.9%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა შეადგენდა 6543.3 ათას ლარს. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გამოყოფილმა

ასიგნებებმა შეადგინა 6350.6 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 97.1%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური მაჩვენებელი 10202.1 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება 6880.2 ათასი ლარია, საანგარიშო პერიოდის გეგმიური მაჩვენებლის 67.4%, საიდანაც არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 67.8%-ით შესრულდა, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების - 107.2%-ით.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდოს 2018 წლის შესრულების მაჩვენებელმა 770,7 ათასი ლარი შეადგინა.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილების 2018 წლის შესრულების მაჩვენებელი 770,7 ათასი ლარია.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით 2018 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდის გეგმიური მაჩვენებელი 90,0 ათას ლარს შედგენდა. წლის განმავლობაში ფონდიდან გამოყოფილი თანხების საკასო შესრულებამ 89.7 ათასი ლარი შეადგინა. აქედან საქონელისა და მომსახურების მუხლით 20.9 ათასი ლარი მიიმართა, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 7.0 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით 61.7 ათასი ლარი.

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია მიზნობრივი ტრანსფერი 144.5 ათასი ლარი მიიმართა: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად 65.0 ათასი ლარი; „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის 79,5 ათასი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო (პროგრამული კოდი 01 01)

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ასიგნებების მოცულობა 703,4 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 701,7 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 99.8%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერია (პროგრამული კოდი 01 02)

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ასიგნებების მოცულობა 1729,9 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 1725,5 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 99,7%-ს შეადგენს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზებას და მათი გაწვევის პუნქტებამდე გადაყვანას. პროგრამაზე 2018 წელს გეგმით 84,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად გეგმის 97,9-%, 83,0 ათასი ლარი მიიმართა.

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01)

გამყოფილი ასიგნებების მოცულობა 9209.0 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულების მაჩვენებელი 6320.1 ათასი ლარია, წლიური გეგმის 68,6-%. საკასო შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ წლის ბოლომდე ვერ იქნა დასრულებული ფერეთასა და ამაღლება-საპრასიის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე არ შედგა შუაგორას შიდასაუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერი. აღნიშნული პროექტები დასრულდება 2019 წელს.

სანიღვრე-საწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 344.4 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულების მაჩვენებელი 156.0 ათასი ლარია, წლიური გეგმის 45,3-%. გეგმასთან შედარებით საკასო შესრულების მნიშვნელოვანი გადახრა განპირობებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების საანგარიშო პერიოდში დაუსრულებლობით. პროექტები დასრულდება 2019 წელს.

დასუფთავების ღონისძიებები – ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 02)

კომუნალური გაერთიანების დაფინანსების გეგმიური მაჩვენებელი 403.0 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულება 402.7 ათასი ლარია, წლიური გეგმის 99.9-%.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის საკასო შესრულებამ 2,5 ათასი ლარი შეადგინა, 2,5 ათასი ლარის გეგმის პირობებში, გეგმის 100-%.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა გარე განათების სანათებისა და ელექტრო-ენერჯის ხარჯების დაფინანსება. საკასო შესრულება 128,3 ათასი ლარია, 128,4 ათასი ლარის გეგმის პირობებში, გეგმის 99,9 %.

უზბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

გეგმით გათვალისწინებული 397,6 ათასი ლარიდან ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 228,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 57,6% წარმოადგენს. წლიურ გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვანი გადახრა განაპირობა სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაუსრულებლობამ. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღდგენის სამუშაოები, რაზეც თანხა დეკემბრის (საქართველოს მთავრობის N2367, 13.12.2018 განკარგულება) თვეში გამოიყო და 2018 წელს ვერ მოხერხდა დასრულება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნების მოცულობა 61,0 ათას ლარს შეადგენდა. გაწეული ხარჯი 48,2 ათას ლარს შეადგენს, დამტკიცებული გეგმის 79-%-ს.

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს. 2018 წლის გეგმით გამოყოფილი ასიგნებები 1115,0 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულება გეგმის 99.7-%-ს, 1111,7 ათას ლარს შეადგენს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის განსახორციელებლად გეგმით 172,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 130,1 ათასი ლარი მიიმართა, რაც გეგმის 75,4-%-ია. პროგრამით გათვალისწინებული შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოები დასრულდა 2019 წელს.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ფეხბურთში, ჭადრაკსა და ჭიდაობაში მუნიციპალიტეტის პირველობები და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. პროგრამაზე გეგმით 12.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად გეგმის 95.9 -%, 11,7 ათასი ლარი მიიმართა.

სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამაზე გეგმით 82,5 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. საკასო ხარჯმა 52,8 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 64,0%. წლიურ გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვანი გადახრა განაპირობა მინი

სტადიონების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაუსრულებლობამ. სამუშაოები დასრულდება 2019 წელს.

ა(ა)იპ სარაგბო კლუბი ვანის აიეტი (პროგრამული კოდი 05 01 05)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის, რაც ძირითადად ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგაში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებას გულისხმობდა, 128,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო ხარჯიც ამდენივეა, გეგმის 100,0%.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 06)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 357,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო ხარჯი - 355,9 ათასი ლარია, გეგმის 99,7%.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი კულტურის სახლების, ცეკვისა და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დაფინანსება. გეგმიური დაფინანსების მოცულობა 328,5 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო ფაქტობრივი შესრულება 327,4 ათას ლარს შეადგენს, გეგმის 99,7%-ს.

კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული იყო ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე მესამე სართულზე ფართის რეაბილიტაცია ბიბლიოთეკის განთავსების მიზნით. ტენდერი გამოცხადდა დეკემბრის ბოლოს და შესაბამისად არ განხორციელებულა ანგარიშსწორება.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის მართვის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის გამოყოფილი 323,7 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია გეგმის 99,9% - 323,4 ათასი ლარი.

ახალგაზრდული და კულტურის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ვანელობის, გალაკტიონობისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებები. 2018 წლის ასიგნება 30,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად პროგრამაზე 29,1 ათასი ლარი მიიმართა. წლიური გეგმის 97%.

ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 50,0 ათასი ლარი მიიმართა.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდემიამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა და დადგენა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა, სანიტარული ღონისძიებები. ორგანიზაციის დაფინანსების გეგმამ 65,0 ათასი ლარი შეადგინა, ისევე როგორც საკასო ხარჯმა.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

პროგრამის ფარგლებში 159,1 ათასი ლარიდან საკასო შესრულებამ 125,4 ათასი ლარი შეადგინა, წლიური გეგმის 78,8%.

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის განსახორციელებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 21.0 ათასი ლარი შეადგინა გეგმით გათვალისწინებული 23.8 ათასი ლარის ნაცვლად, შესრულების მაჩვენებელი 88,2%-ია. პროგრამით ისარგებლა 32 ბენეფიციარმა.

სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო: ა) გარდაცვლილი ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება 500 ლარის ოდენობით. ბ) იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება - თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით. იმ გარდაცვლილი დევნილის ოჯახზე, რომლის სარეიტინგო ქულა არის 70 000 - 500 ლარის ოდენობით, ხოლო 70 000 დან 100 000-მდე ქულის შემთხვევაში 300 ლარის ოდენობით. გ) დახმარება 500 ლარის ოდენობით გაიცა იმ გარდაცვლილთა ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1- დან 70 000-მდე სარეიტინგო ქულა. წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა 32,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100%-ია. პროგრამით ისარგებლა 66 ბენეფიციარმა.

ახალშობილთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 (სამასი) ლარის, მეორე შვილზე 350 (სამასორმოცდაათი) ლარის, მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. წლიურად დამტკიცებული ასიგნების მოცულობა 106,0 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო საკასო ხარჯი გეგმის 100%-ს, 106,0 ათას ლარს. პროგრამით ისარგებლა 279 ბენეფიციარმა.

სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

გეგმით გათვალისწინებული იყო 225,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება 154,8 ათასი ლარია. წლიური გეგმის 68,6%. წლიურ გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვანი გადახრა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადასაცემ მასალებზე ხელშეკრულებები გაფორმდა დეკემბრის თვეში, საქონლის მიწოდება განხორციელდა 2018 წლის დეკემბრის ბოლოს და ანგარიშწორების განხორციელება ვერ მოხერხდა საანგარიშგებო პერიოდში.

სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. პროგრამაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მიმართული იყო 244,1 ათასი ლარი. საკასო ხარჯი 244,1 ათასი ლარია, გეგმის 100%. პროგრამით ისარგებლა 696 ბენეფიციარმა.

დიალიზის პროგრამაზე მყოფთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარება. პროგრამის დაფინანსების მოცულობა 38,8 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო ხარჯიც 38,8 ათას ლარს შეადგენს, გეგმის 100%-ს. პროგრამით ისარგებლა 17 ბენეფიციარმა.

საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება (500 ლარი) მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახებმა. ასიგნების მოცულობა როგორც გეგმით, ასევე ფაქტობრივად 9,7 ათას ლარს შეადგენს. პროგრამით ისარგებლა 25 ბენეფიციარმა.

პირველი ჯგუფის ინვალიდთა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 500 (ხუთასი) ლარის, ხოლო 200

(ორასი) ლარის ოდენობით პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის. პროგრამაზე 71,9 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 71,9 ათასი ლარის 100%-ს შეადგენს. პროგრამით ისარგებლა 244 ბენეფიციარმა.

დღეგრძელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

პროგრამით გათვალისწინებული 1000 ლარიანი ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო ას წელს გადაცილებულმა 5 პირმა. პროგრამაზე როგორც გეგმით, ასევე ფაქტობრივად 5,0 ათასი ლარი მიიმართა.

მეორე მსოფლიო ომის და ჩერნობილის ავარიის მონაწილეთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიიღო მეორე მსოფლიო ომის (500 ლარი) და ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე (300 ლარი) პირებმა. ფაქტიურმა შესრულებამ 6,7 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 100%. პროგრამით ისარგებლა 19 ბენეფიციარმა.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების (რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი) ერთჯერადი ფინანსური დახმარება (თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით). გაწეული საკასო ხარჯი 21,5 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 21,5 ათასი ლარის 100,0 % შეადგენს. პროგრამით ისარგებლა 51 ბენეფიციარმა.

მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიიღო იმ მარჩენალგარდაცვლილმა ოჯახებმა, რომლების ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ასევე რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1- დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა, თითოეულ ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ფაქტიური შესრულება 20,0 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 20,1 ათასი ლარის 99,5 %-ია. პროგრამით ისარგებლა 63 ბენეფიციარმა.

სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 13)

პროგრამის ფარგლებში გაიცა სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ერთჯერადი ფინანსური დახმარებები 59,1 ათასი ლარის მოცულობით. პროგრამით ისარგებლა 221 ბენეფიციარმა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა სწავლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 100000-მდე. დახმარების მოცულობა განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით და პროგრამით ისარგებლა 29 ბენეფიციარმა. გაწეული საკასო ხარჯი გეგმის 100% - ის 14,5 ათასი ლარის ტოლია. პროგრამით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2018 წლის გეგმიური მაჩვენებელი 16845,4 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ გეგმის 79,2%-ს - 13338,0 ათასი ლარი შეადგინა.

2019 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N125 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა

12929,5 ათასი ლარის, გადასახდელები 16670,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება - 3740,9 ათასი ლარის მოცულობით.

2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 12829,5 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის გეგმა 9551,5 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 9479,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 73,9%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 99,2%-ს შეადგენს.

გადასახდელების 2019 წლის საპროგნოზო მოცულობა 6681,8 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის გეგმა 5056,7 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 5097,0 ათასი ლარი წლიური გეგმის 76,3% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 100,8%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2019 წლის გეგმა 5674,5 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის გეგმა 4141,3 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 4141,3 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური 73,0%-ით, ხოლო 9 თვის გეგმა 100,0%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 473,2 ათასი, ხოლო 9 თვის 353,5 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 240,6 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 50,9% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 68,1%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 7544,4 ათას ლარს, 9 თვის კი 5738,8 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 5424,3 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 71,9%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,5%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური 9026,0 ათასი ლარით განისაზღვრა, 9 თვის გეგმა 8384,5 ათასი ლარით. საკასო შესრულება 5649,4 ათასი ლარია, საანგარიშო პერიოდის გეგმიური მაჩვენებლის 67,4%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდოს 2019 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებელმა - 1594,7 ათასი ლარი შეადგინა.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილების 2019 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებელი - 1447,9 ათასი ლარია.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2019 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 9 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 91,9 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 91,9 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სუბსიდიის მუხლით 10,0 ათასი ლარი მიიმართა, სხვა ხარჯების მუხლით 4,5 ათასი ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 77,4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ასიგნებების მოცულობა 724,0 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 524,4 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 72,4%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 550,6 ათასი ლარის 95,2%-ია.

მუნიციპალიტეტის მერია

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ასიგნებების მოცულობა 1794,3 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 1284,3 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 71,6%-ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 1352,4 ათასი ლარის 95,0%-ია.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამაზე 2019 წელს გეგმით 98,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 63,0 ათასი ლარი მიიძღვრა, რაც წლიური გეგმის 64,3% და პერიოდის გეგმის 78,0 ათასი ლარის 80,8%-ია.

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამაზე გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 6901,1 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულების მაჩვენებელი 4798,0 ათასი ლარია, წლიური გეგმის 69,5% და პერიოდის გეგმის 6522,8 ათასი ლარის 73,6%-ია.

სანიღვრე-საწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

საკასო ხარჯი 68,0 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 267,6 ათასი ლარის 25,4%, ხოლო პერიოდის გეგმის 268,4 ათასი ლარის 25,3%-ს შეადგენს. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ რამდენჯერმე არ შედგა ტენდერი ქალაქ ვანში, შუამთასა და ბზვანში ნაპირსამაგრების რეაბილიტაციაზე და შესაბამისად ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება.

დასუფთავების ღონისძიებები – ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 02)

კომუნალური გაერთიანების დაფინანსების გეგმიური მაჩვენებელი 455,0 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულება 333,9 ათასი ლარია, წლიური გეგმის 73,4% და პერიოდის გეგმის 341,0 ათასი ლარის 97,9%-ია.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

საკასო შესრულებამ 1,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც პერიოდის გეგმის 70,6%, ხოლო წლიური გეგმის 12,5 ათასი ლარის 9,6%-ი ტოლია.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სანათების ელექტრო-ენერჯის ხარჯების დაფინანსება. საკასო შესრულება 77,3 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 123,6 ათასი ლარის 62,5% და პერიოდის გეგმის 90,4 ათასი ლარის 85,5%-ია.

ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

საკასო შესრულებამ 180,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 191,9 ათასი ლარის 94,0%-ია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

გაწეული ხარჯი 242,7 ათას ლარია, პერიოდის გეგმის 71,4% და წლიური გეგმის 591,0 ათასი ლარის 41,1%-ია.

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

2019 წლის გეგმით გამოყოფილი ასიგნებები 1330,0 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულება 938,7 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 70,6%, ხოლო პერიოდის გეგმის 977,0 ათასი ლარის 96,1%-ია.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის განსახორციელებლად გეგმით 615,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 333,0 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური და პერიოდის გეგმის 54,1%-ია. საკასო შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი განაპირობა ძულუხის და მთისძირის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის თავდაპირველად განსზღვრულ ვადებში დაუსრულებლობამ, ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს და დასასრულს უახლოვდება.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის განსახორციელებლად გეგმით 735,4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 188,9 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 25,7%-ი და პერიოდის გეგმის 635,5 ათასი ლარის 29,7%-ია. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები შეწყდა შემსრულებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ფეხბურთში, მძლეოსნობასა და ჭიდაობაში მუნიციპალიტეტის პირველობები და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. პროგრამაზე გეგმით 10,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 7,1 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 71,0%-ი, ხოლო პერიოდის გეგმის 87,7%-ია.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სულორი-ვანი (პროგრამული კოდი 05 01 03)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 147,0 ათასი ლარი გამოიყო, პერიოდის გეგმა 105,0 ათას ლარია, საკასო შესრულებამ 95,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 64,7%-ი, ხოლო პერიოდის გეგმის 90,6%-ია.

სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამაზე გეგმით 94,6 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. საკასო ხარჯმა 94,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური და პერიოდის გეგმის 99,5%-ია.

ა(ა)იპ სარაგბო კლუბი ვანის აიეტი (პროგრამული კოდი 05 01 05)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 147,0 ათასი ლარი გამოიყო, პერიოდის გეგმა 107,0 ათას ლარია, საკასო შესრულებამ 96,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 65,6%-ი, ხოლო პერიოდის გეგმის 90,2%-ია.

ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 06)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 250,0 ათასი ლარი გამოიყო, პერიოდის გეგმა 214,0 ათას ლარია, საკასო შესრულებამ 196,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 78,5%-ი, ხოლო პერიოდის გეგმის 91,7%-ია.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი კულტურის სახლების, ბიბლიოთეკის, მუზეუმების, ცეკვისა და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დაფინანსება. გეგმიური დაფინანსების მოცულობა 380,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულება 283,5 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 74,6% და პერიოდის გეგმის 286,4 ათასი ლარის 99,0%-ია.

კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით პროგრამის დაფინანსებისათვის 42,2 ათასი ლარი გამოიყო საკასო შესრულებამ 41,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური პერიოდის გეგმის 97,2%-ია

ა(ა)იპ სახელოვნებო განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 344,0 ათასი ლარი გამოიყო, პერიოდის გეგმა 261,5 ათას ლარია, საკასო შესრულებამ 257,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 74,9%-ი, ხოლო პერიოდის გეგმის 98,5%-ია.

ახალგაზრდული და კულტურის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ვანელობის, გალაკტიონობისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებები. 2019 წლის ასიგნება 25,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად პროგრამაზე 20,8 ათასი ლარი მიიმართა. წლიური გეგმის 83,2% და პერიოდის გეგმის 21,5 ათასი ლარის 96,7%-ია.

ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 95,0 ათასი ლარი მიიმართა.

ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 05)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 60,0 ათასი ლარი გამოიყო, პერიოდის გეგმა 50,4 ათას ლარია, საკასო შესრულებამ 39,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 66,0%-ს, ხოლო პერიოდის გეგმის 78,6%-ია.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგია და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა და დადგენა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა, სანიტარული ღონისძიებები. ორგანიზაციის დაფინანსების წლიურმა გეგმამ 74,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულება 50,4 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 68,1%-ს და პერიოდის გეგმის 96,9%-ია.

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის განსახორციელებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 21,7 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმით გათვალისწინებული 33,0 ათასი ლარის 65,8%-ს, ხოლო პერიოდის გეგმის 25,0 ათასი ლარის 86,8%-ს შეადგენს.

სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარდაცვლილი ომის ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება 500 ლარის, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება - თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით. იმ დევნილის ოჯახზე, რომლის სარეიტინგო ქულა არის 70 000-მდე, დახმარება გაიცა 500 ლარის ოდენობით. ასევე 500 ლარის ოდენობის დახმარება გაიცა იმ გარდაცვლილთა ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-დან 70 000-მდე სარეიტინგო ქულა. გაწეულმა საკასო ხარჯმა 29,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის - 40,0 ათასი ლარის 73,8%-ია, ხოლო პერიოდის გეგმის 30,0 ათასი ლარის 98,3%-ია.

ახალშობილთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 (სამასი) ლარის, მეორე შვილზე 350 (სამასორმოცდაათი) ლარის, მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. წლიურად დამტკიცებული ასიგნების მოცულობა 90,0 ათას ლარს შეადგენდა, საკასო ხარჯი წლიური გეგმის 77,3%-ს, 69,6 ათას ლარს, ხოლო პერიოდის გეგმის 75,0 ათასი ლარის 92,8%-ს.

სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამის დაფინანსების მოცულობა 222,4 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო ხარჯი 185,8 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 83,5%-ს, ხოლო პერიოდის გეგმის 212,2 ათასი ლარის 87,6%-ს.

სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. პროგრამაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მიმართული იყო 300,0 ათასი ლარი. საკასო ხარჯი 228,9 ათასი ლარია, წლიური გეგმის 76,4%, ხოლო პერიოდის გეგმის 235,0 ათასი ლარის 97,4%-ია.

დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

პროგრამის დაფინანსების მოცულობა 43,0 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო ხარჯი 31,4 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 73,0%-ს, ხოლო პერიოდის გეგმის 31,4 ათასი ლარის 100%-ს.

საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება (500 ლარი) გაიცემა საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებზე. ასიგნების მოცულობა 10,0 ათას ლარით დაიგეგმა, საკასო ხარჯი 7,6 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური და პერიოდის გეგმის 76,0%-ია.

ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამაზე 31,6 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 34,0 ათასი ლარის 92,9%-ს, ხოლო პერიოდის გეგმის 32,0 ათასი ლარის 98,8%-ს შეადგენს.

დღეგრძელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

პროგრამის წლიური გეგმა 7,0 ათას ლარს ხოლო პერიოდის გეგმა 5,0 ათას ლარს შეადგენს, საკასო ხარჯი 5,0 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 71,4% და პერიოდის გეგმის 100,0%-ია.

მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ავარიის მონაწილეთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)

პროგრამით დაიხარჯა 5,9 ათასი ლარი, როგორც წლიური ასევე პერიოდის გეგმის 6,0 ათასი ლარის 98,3%-ს.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 21,5 ათას ლარს შეადგენს, რაც როგორც წლიური ასევე პერიოდის გეგმის 24,0 ათასი ლარის 89,6%-ია.

მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 20,3 ათას ლარია, რაც წლიური და პერიოდის გეგმის 23,0 ათასი ლარის 88,3%-ია.

სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 13)

პროგრამის ფარგლებში 2,3 ათასი ლარის მოცულობით დაფინანსდა შშმ პირთა დღის ცენტრი, პერიოდის გეგმის 2,6 ათასი ლარის 88,5%-ს.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა სწავლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 9,5 ათასი ლარია, წლიური და პერიოდის გეგმის - 13,0 ათასი ლარის 73,1%-ს ია.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 36,8 ათას ლარს შეადგენს, რაც როგორც წლიური ასევე პერიოდის გეგმის 40,0 ათასი ლარის 92,0%-ს ია.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 16)

პროგრამის წლიური გეგმა 1,0 ათას ლარია, ხოლო საკასო ხარჯი არ გვაქვს.

უსახლკაროთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 17)

პროგრამის წლიური გეგმა 6,0 ათას ლარია, ხოლო საკასო ხარჯი არ გვაქვს.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2019 წლის გეგმიური მაჩვენებელი 16670,4 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ შესაბამისი პერიოდის გეგმის 78,4-% და წლიური გეგმის 66,8-%, 11137,0 ათასი ლარი შეადგინა.

თავი III. ვანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნება განისაზღვროს 366,0 ათასი ლარის ოდენობით. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,883.8	8,087.7	366.0	366.0	381.0	408.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,320.1	6,901.1	256.0	256.0	266.0	285.0
02 02	სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია	156.1	267.6	0.0	0.0	0.0	0.0
02 03	წყლის სისტემის განვითარება	2.5	12.5	0.0	0.0	0.0	0.0
02 04	გარე განათების უზრუნველყოფა	128.3	123.6	110.0	110.0	115.0	123.0
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	228.6	191.9	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	სოფლის განვითარების ხელშეწყობა	48.2	591.0	0.0	0.0	0.0	0.0

პროგრამის დასახელება: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის კოდი: 02 01

პროგრამის დაფინანსება: 256,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

პროგრამის დასახელება: სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია

პროგრამის კოდი: 02 02

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის დასახელება: **წყლის სისტემის განვითარება**

პროგრამის კოდი: 02 03

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის დასახელება: **გარე განათების უზრუნველყოფა**

პროგრამის კოდი: 02 04

პროგრამის დაფინანსება: 110,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები 110 ათასი ლარი მოხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.

მოსალოდნელი შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

პროგრამის დასახელება: **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის კოდი: 02 05

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის დასახელება: **სოფლის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის კოდი: 02 06

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

მოსალოდნელი შედეგი:

დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვროს 465,0 ათასი ლარის ოდენობით. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	402.7	455.0	465.0	465.0	484.0	518.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	402.7	455.0	465.0	465.0	484.0	518.0

პროგრამის დასახელება: დასუფთავება და ნარჩენების გატანა

პროგრამის კოდი: 03 01

პროგრამის დაფინანსება: 465.0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ააიპ ვანის კომუნალური გაერთიანება

პროგრამის აღწერა და მიზანი: ვანის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს.

მოსალოდნელი შედეგი: მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების ასიგნება განისაზღვროს 1400,0 ათასი ლარის ოდენობით. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
04 00	განათლება	1,241.8	2,680.4	1,400.0	1,400.0	1,457.0	1,561.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,111.7	1,330.0	1,400.0	1,400.0	1,457.0	1,561.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	130.1	615.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	735.4	0.0	0.0	0.0	0.0

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

პროგრამის კოდი: 04 01

პროგრამის დაფინანსება: 1400,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

პროგრამის აღწერა და მიზანი: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით, ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: ვანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი

აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 700-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი.

პროგრამის დასახელება: სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია

პროგრამის კოდი: 04 02

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულყოფილი და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს დაწესებულებების რეაბილიტაციის ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა, სტანდარტებთან შესაბამისი პირობები შექმნილია საბავშვო ბაღებში.

პროგრამის დასახელება: ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 04 03

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი კვლავ გააგრძელებს მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შედეგი: ტრანსპორტირების მომსახურებით სარგებლობს 33 საჯარო სკოლის მოსწავლეები, სხვადასხვა მარშრუტზე. რეაბილიტირებულია საჯარო სკოლები.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების მოცულობა განისაზღვროს 1500,0 ათასი ლარით, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,301.4	1,594.8	1,500.0	1,500.0	1,558.0	1,663.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	551.1	648.6	585.0	585.0	609.0	652.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	14.4	10.0	10.0	10.0	10.0	11.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	355.9	250.0	210.0	210.0	219.0	234.0
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	0.0	147.0	205.0	205.0	213.0	229.0

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	128.0	147.0	160.0	160.0	167.0	178.0
05 01 05	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია	52.8	94.6	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	750.3	946.2	915.0	915.0	949.0	1,011.0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	327.1	380.0	395.0	395.0	411.0	440.0
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	323.4	344.0	335.0	335.0	349.0	374.0
05 02 03	კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	0.0	42.2	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0	95.0	80.0	80.0	80.0	80.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	24.1	25.0	30.0	30.0	31.0	33.0
05 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	25.7	60.0	75.0	75.0	78.0	84.0

პროგრამის დასახელება: **სპორტული ღონისძიებების ორგანიზება**

პროგრამის კოდი: 05 01 01

პროგრამის დაფინანსება: 10,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ებულობენ ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები. პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენები.

პროგრამის დასახელება: **სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა**

პროგრამის კოდი: 05 01 02

პროგრამის დაფინანსება: 210,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

პროგრამის აღწერა და მიზანი: სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება აერთიანებს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი, ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, სამბო, ძიუდო, ველოსპორტი. აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მოსალოდნელი შედეგი: გაერთიანება მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;

პროგრამის დასახელება: **ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის კოდი: 05 01 03

პროგრამის დაფინანსება: 205,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი

პროგრამის აღწერა და მიზანი: საფეხბურთო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი კლუბის აღსაზრდელების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე ცენტრალური სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მოსალოდნელი შედეგი: კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის წრეებით სარგებლობა;

პროგრამის დასახელება: **რაგბის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის კოდი: 05 01 04

პროგრამის დაფინანსება: 160,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ სარაგბო კლუბი აიეტი

პროგრამის აღწერა და მიზანი: სარაგბო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი და პროფესიული კლუბის მორაგბეების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე სარაგბო სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მოსალოდნელი შედეგი: კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია რაგბის წრეებით სარგებლობა;

პროგრამის დასახელება: **სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია**

პროგრამის კოდი: 05 01 05

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სპორტსმენთათვის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიზნებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი აგრძელებს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტსმენთათვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო პირობები, რეაბილიტირებულია სპორტული ობიექტები.

პროგრამის დასახელება: **კულტურის ღონისძიებების ორგანიზება**

პროგრამის კოდი: 05 02 01

პროგრამის დაფინანსება: 390,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამი კულტურის სახლი, კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი ჩართულობის გაზრდა.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. თეატრში იდგმება სპექტაკლები. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით.

პროგრამის დასახელება: **სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის კოდი: 05 02 02

პროგრამის დაფინანსება: 160,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ სარაგბო კლუბი აიეტი

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი ძიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს. ქვეპროგრამის მიზანია მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის

შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურებით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებზე და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით.

პროგრამის დასახელება: **კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია**

პროგრამის კოდი: 05 02 03

პროგრამის დაფინანსება: 160,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: კულტურის სფერო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტის ერთ ერთი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი კვლავ გააგრძელებს კულტურის ობიექტების რეაბილიტაციას.

მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა

პროგრამის დასახელება: **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის კოდი: 05 02 04

პროგრამის დაფინანსება: 80,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტი აგრძელებს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსურ მხარდაჭერას.

მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის დასახელება: **ახალგაზრდობის მხარდაჭერა**

პროგრამის კოდი: 05 03

პროგრამის დაფინანსება: 30,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ახალგაზრდული პროექტები

მომართვიანობის მიხედვით; ქვეპროგრამის მიზანია ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან.

პროგრამის დასახელება: **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის კოდი: 05 04

პროგრამის დაფინანსება: 75,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი: ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმის განვითარების საკითხებში. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

მოსალოდნელი შედეგი: ტურისტების რაოდენობის ზრდა;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 780,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	995.0	1,136.2	788.0	788.0	819.0	880.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	190.4	240.8	83.0	83.0	86.0	93.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	65.0	74.0	83.0	83.0	86.0	93.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	125.4	166.8	0.0	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	804.6	895.4	705.0	705.0	733.0	787.0
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	106.0	90.0	90.0	90.0	94.0	100.0
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	21.5	24.0	25.0	25.0	26.0	28.0
06 02 03	სამედიცინო დახმარება	244.1	299.5	300.0	300.0	312.0	335.0
06 02 04	დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება	38.8	43.0	45.0	45.0	47.0	50.0

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
06 02 05	შშმ პირთა დახმარება	71.9	74.0	75.0	75.0	78.0	84.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	21.0	33.0	30.0	30.0	31.0	33.0
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	154.8	222.4	30.0	30.0	31.0	33.0
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	5.0	7.0	7.0	7.0	7.0	8.0
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	16.4	16.0	5.0	5.0	5.0	6.0
06 02 10	მარჩენალგარდაცვილ პირთა დახმარება	20.0	23.0	25.0	25.0	26.0	28.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	14.5	13.0	15.0	15.0	16.0	17.0
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	1.0	3.0	3.0	3.0	3.0
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	0.0	6.0	10.0	10.0	10.0	11.0
06 02 14	სარიტუალო დახმარება	31.5	40.0	40.0	40.0	42.0	45.0
06 02 15	სხვა სოციალური ღონისძიებები	59.1	3.5	5.0	5.0	5.0	6.0

პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კოდი: 06 01 01

პროგრამის დაფინანსება: 83,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს კუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების,

შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამის მიზანია მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; **მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია

პროგრამის კოდი: 06 01 02

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უდიდესი როლი ენიჭება პირველად ჯანდაცვას, ამბულატორიულ მომსახურებას. ამბულატორიული მომსახურების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ასიგნებებით, განაგრძობს ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მოსალოდნელი შედეგი: ამბულატორიების პერსონალისათვის სათანადო პირობების შექმნა, რეაბილიტირებული ამბულატორიების რაოდენობა.

პროგრამის დასახელება: ახალშობილთა ოჯახების დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 01

პროგრამის დაფინანსება: 90,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 350 ლარის, მესამეზე 400, მეოთხეზე და ყოველ მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 ლარის ოდენობით. თუ ახალშობილის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 1 დან 70 000 მდე, მაშინ მისაღები ფინანსური დახმარების მოცულობა გაიზრდება 20%-ით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 02

პროგრამის დაფინანსება: 25,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე

მიღებენ 25 ლარს. პროგრამით ისარგებლებს ის ოჯახები რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: სამედიცინო დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 03

პროგრამის დაფინანსება: 300,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ღირებულების თანადაფინანსება. დახმარების მოცულობა განისაზღვრება 750 ლარიანი ლიმიტით, პაციენტმა შეიძლება ისარგებლოს წლის განმავლობაში ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე შემდეგ შემთხვევაში: ა) მოქალაქეებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-დან-70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა. ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა, რომელთა სარეიტინგო ქულაა 1-დან 100 000-ის ჩათვლით. გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები. გ) ონკოლოგიური (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პაციენტებმა. დ) გულის დაავადებათა მქონე პაციენტებმა. ე) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებულებმა. სხვა დანარჩენი კატეგორიის მოქალაქეების დაფინანსება განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50 %-ის და არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით. პროგრამა არ ითვალისწინებს იმ პაციენტების დაფინანსებას, რომელთაც გადახდილი აქვთ სამედიცინო მომსახურების თანხა და კლინიკაში დავალიანება არ ერიცხებათ, ასევე იმ პაციენტების დაფინანსებას, რომელთაც გადასახდელი აქვთ 200 ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხა.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 04

პროგრამის დაფინანსება: 45,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის შემცირების მიზნით ყოველთვიური ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: შშმ პირთა დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 05

პროგრამის დაფინანსება: 75,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით დაავადებული ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიურად დახმარების გაწევა 200 ლარის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: **მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა**

პროგრამის კოდი: 06 02 06

პროგრამის დაფინანსება: 30,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: **სტიქიით დაზარალებულთა დახმარება**

პროგრამის კოდი: 06 02 07

პროგრამის დაფინანსება: 30,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: **დღეგრძელდა დახმარება**

პროგრამის კოდი: 06 02 08

პროგრამის დაფინანსება: 7,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასი და მეტი წლის უხუცესთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, თითოეულ ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: **ვეტერანთა დახმარება**

პროგრამის კოდი: 06 02 09

პროგრამის დაფინანსება: 5,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 300 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: მარჩენალგარდაცვილ პირთა დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 10

პროგრამის დაფინანსება: 25,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა: ა) სოციალურად დაუცველ მარჩენალგარდაცვილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ამავე დროს რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. ბ) მარჩენალგარდაცვილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით. გ) დედ-მამით ობლებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: სტუდენტთა დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 11

პროგრამის დაფინანსება: 15,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 1-დან -100000-ჩათვლით. დახმარების მოცულობა განისაზღვრება თითოეულ სტუდენტზე 500 ლარის ოდენობით. დახმარებით ასევე ისარგებლებენ პირველი ჯგუფის ინვალიდი სტუდენტები, მიუხედავად სარეიტინგო ქულისა, 1000 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 12

პროგრამის დაფინანსება: 3,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

პროგრამის კოდი: 06 02 13

პროგრამის დაფინანსება: 10,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას. ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში; ბ) მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, დიხაშხოს, ბზვანის, ამდლების, ზეინდრის, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში; გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, მულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 60 (სამოცი) ლარი თვეში;

მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: სარიტუალო დახმარება

პროგრამის კოდი: 06 02 14

პროგრამის დაფინანსება: 40,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება 500 ლარის ოდენობით. ბ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის ოჯახის დახმარება 250 ლარის ოდენობით. გ) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-100000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის ოჯახის დახმარება 500 ლარის ოდენობით. დ) ჩერნობილის ავარიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში 500 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი: აღნიშნულ კატეგორიას მიკუთვნებული ოჯახები დაკმაყოფილებულია სრულად.

პროგრამის დასახელება: სხვა სოციალური ღონისძიებები

პროგრამის კოდი: 06 02 15

პროგრამის დაფინანსება: 5,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების დღის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერა.

მოსალოდნელი შედეგი: დღის ცენტრის ბენეფიციართათვის გაუმჯობესებულია პირობები.